შეთანხმება №2
2019 წლის 30 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№263 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დაბა. ქედა 08.04 2020 წელი .

ქედის მუნიციპალიტეტის და ი.მ ,,ავთანდილ სანიკიძე"-ს შორის 2019 წლის 30 დეკემბერს დაიდო N263 ხელშეკრულება, ახოს ბაგა-ბაღის რემონტის სამუშაოების შესყიდვაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს 2020 წლის 06 აპრილის N13 სხდომის ოქმის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო მიმდინარე წლის 12 მარტამდე. ამ ეტაპისათვის სამუშაოები დასრულებულია და წარმოდგენილია დოკუმენტაცია შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებიის თაობაზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო, შეუძლებელია შესაბამისი ფინანსური ოპერაციების ჩატარება, ამიტომ მიზანშეწონილია კომპანიას ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 2020 წლის 01 ივლისამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის სახით და მეორეს მხრივ ი.მ ,, ავთანდილ სანიკიძი"-ს სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') მოქმედი კანონმდებლობის და 2019 წლის 30 დეკემბრის N263 ხელშეკრულების მე-7 მუხლის საფუძველზე შევთანხმდით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება ქედის მუნიციპალიტეტს და ი.მ ,, ავთანდილ სანიკიძი"-ს შორის 2019 წლის 30 დეკემბრის N263 ხელშეკრულების მე-7 მუხლში და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. შევიდეს ცვლილება N263 ხელშეკრულების მე-7 მუხლი 7.3 პუნქტში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 7.3. ხელშეკრულება ძალაშია მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან 2020 წლის 01 ივლისამდე.
3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები რჩება უცვლელი.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე.
5. წინამდებარე დანართი შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ის წარმოადგენს მხარეთა შორის 2019 წლის 30 დეკემბრის N263 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

,,შემსყიდველი'':
ქედის მუნიციპალიტეტი
მერი
ლევან გორგილაძე

,,მიმწოდებელი'':
ი.მ ,,ავთანდილ სანიკიძე"
დირექტორი

Avtandil Sanikidze
Digitally signed by Avtandil Sanikidze
Date: 2020.04.08 16:02:20 +04'00'

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს
სხდომის ოქმი N13

06 აპრილი, 2020 წელი დაბა ქედა

სხდომის თავმჯდომარე: ქედის მუნიციპალიტეტის მერის **პირველი მოადგილე: რ. ბერიძე**

ტექნიკური საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე: ს. ბოლქვაძე

ტექნიკური საბჭოს წევრები: გ. ანანიძე, ს. სურმანიძე, ჯ. დიასამიძე

დღის წესრიგი

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძესთან ახოს ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე გაფორმებულ N263 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: **გ. ანანიძე**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძე N263 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აწარმოებს სოფელ ახოს ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოებს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო მიმდინარე წლის 12 მარტამდე. ამ ეტაპისათვის სამუშაოები დასრულებულია და წარმოდგენილია დოკუმენტაცია შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებიის თაობაზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო, შეუძლებელია შესაბამისი ფინანსური ოპერაციების ჩატარება, ამიტომ მიზანშეწონილია კომპანიას ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 2020 წლის 01 ივლისამდე

აზრი გამოთქვეს: ტექნიკური საბჭოს წევრებმა რ. ბერიძემ, ს. სურმანიძემ, რომლებიც დაეთანხმენ მომხსენებლის წინადადებას.

დაადგინეს:

1. რეკომენდაცია მიეცეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას, შეიტანოს ცვლილება ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძესთან 2019 წლის 30 დეკემბერს ახოს ბაგა-ბაღის რემონტის თაობაზე გაფორმებულ N263 ხელშეკრულებაში და გაუგრძელოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2020 წლის 01 ივლისამდე.

2. შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების მომზადება და ატვირთვა სისტემაში.

ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე : /რ. ბერიძე/

ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: /ს. ბოლქვაძე/

წევრები : /გ. ანანიძე/

/ს. სურმანიძე/

/ჯ. დიასამიძე/

N 604-03 06/04/2020

ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს
ბატონ როლანდი ბერიძეს
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სივრცითი მოწყობის, არქიტექტურტისა და მშენებლობის
სამსახურის უფროსის
გენადი ანანიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ ინდ. მეწარმე „ავთანდილ სანიკიძე" ქედის მუნიციპალიტეტის მერიასთან 2019 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული N 263 ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს ახოს ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოებს. აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა 2020 წლის 12 მარტს. ვინაიდან ამ ობიექტზე სამუშაოები წარმოებდა გამარტივებული შესყიდვით, გარკვეული დამატებითი დრო დაჭირდა ობიექტზე მიტანილი ყველა მასალის შესყიდვის დოკუმენტების წარმოდგენას. დღეის მდგომარეობით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესწავლილია და ექვემდებარება ანაზღაურებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების მიზნით ინდ. მეწარმე „ავთანდილ სანიკიძე"-ს 2019 წლის 30 დეკემბრის N 263 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 2020 წლის 30 აპრილამდე.

გთხოვთ თქვენს შემდგომ რეაგირებას.

გენადი ანანიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური